საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თავდგირიძეები

თავდგირიძეები, ფეოდალური საგვარეულო სამხრეთ საქართველოში. მათი უძვ. წარმომადგენელი იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპების ნუსხებში იხსენიება. ფოცხვერა თაგდირიძის აღაპს ნ. მარი XI–XII სს-ით ათარიღებს. შემდგომი მოხსენიება XIV საუკუნისაა. გვხვდება სხვადასხვა ვარიანტებით: თაგდირიძე, თაქთირიძე, თადგირიძე და სხვ. ოსმალთა მიერ სამცხე-საათაბაგოს დაპყრობის შემდეგ თ-ის საგვარეულო საქართვ. სხვადასხვა მხარეში (ქართლი, იმერეთი, გურია) გაიფანტა. გიორგი III გურიელმა თ-ს ქვემო გურიაში უბოძა ყმა-მამული.

XVII–XVIII სს-ში თ-ს გურიის სამთავროს ბოქაულთუხუცესის სახელო ეკავათ, შემდეგ გურიის მსაჯულთუხუცესები იყვნენ. თ-ის სათავადო მოიცავდა აჭყვის, კინტრიშის, სუფსისა და ჩაქვის ხეობათა სოფლების ნაწილს. აქვე ჰქონდათ მათ ციხესიმაგრეები, მონასტერი (ხინო), საყდრები, საცხოვრებელი და სამეურნეო სახლები.

XVIII ს. 40-იან წლებში გიორგი თავდგირიძე დაემოყვრა „რიზეს ზევით რიონამდე" ოსმალთაგან მიღებული ტერიტ. მფლობელ შერვაშიძეს. ამის შემდეგ სათავდგირიძოს მამულებად იქცა ახალშენი, გონიო, სამება, ყოროლისთავი... XVII–XVIII სს. მიჯნაზე თ-ის ერთი შტო გონიოს სანჯაყს განაგებდა. რუსეთ-ოსმალეთის 1768–74 ომის დროს ქობულეთის სარდალ-მოურავი მ ა მ უ კ ა თავდგირიძე (სოლომონ I-ის სიძე) აქტიურად იბრძოდა ოსმალთა წინააღმდეგ. ქუჩუქ-კაინარჯის ზავის (1774) შემდეგ, როდესაც ქვემო გურია ოსმალებმა დაიკავეს, მამუკა ცოლ-შვილითა და ამალით საჯავახოში გადავიდა და შუა გურიაში დამკვიდრდა. თ-ის ერთი ნაწილი სოფ. აკეთში დასახლდა, სადაც მათ ჰქონდათ ციხესიმაგრე, საყდარი; ეკუთვნოდათ აცანა, გაგური, ზომლეთი და სხვ. სახნავ-სათესს ფლობდნენ კინტრიშის ხეობაშიც. თ-ის სახლის უფროსს ლაზისტანის სანჯაყში

ოსმალებმა კინტრიშის მუდირობა უბოძა. მამუკას ვაჟი მ ა ქ ს ი მ ე, რ-საც თურქებთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა, გამაჰმადიანდა, ს უ ლ ე ი მ ა ნ ა დ იწოდა. თურქებმა იგი ქობულეთის სანჯაყის გამგებლად დანიშნეს. 1850 მამუკას მემკვიდრეებს რუს. მთავრობამ თავადთა წოდება დაუმტკიცა. XIX ს. შუა წლებში თ-ის ერთი შტო ქვემო აჭარას განაგებდა (რეზიდენცია ქედაში). „აჭარელ ოსმან-ფაშად" წოდებული 1878 თურქეთში გადასახლდა. თ-ის ნაწილი სტამბოლის მიდამოებში დასახლდა, საგვარეულოდან არაერთი ცნობილი მოღვაწე, სარდალი, დიპლომატი გამოვიდა.

ლიტ.: ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე ფ., სათავდგირიძოთა საგვარეულოს უძველესი ისტორიიდან, {ლიტერატურული აჭარა}, 1962, N4; M a p p H., O раскопках в Ани, СПб., 1907.

ფ. სიხარულიძე

ქ. ჩხატარაიშვილი